



MES 8 23 0001530054



10/11/2023

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

**სხდომის თარიღი: 27. 10. 2023**

**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**

**სხდომის დასრულების დრო: 15:35 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი**

**საბჭოს მდივანი: რატი რატიანი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

- 1. გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
- 3. ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

4. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
10. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ნინო ლაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
16. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს	ხარისხის უზრუნველყოფის	I

		ტექნიკური უნივერსიტეტი	სამსახურის ხელმძღვანელი	
2	ხათუნა მხეიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.	I
3	ზურაბ გვიშიანი		სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი	I
4	მარინა ჯავახიშვილი		სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
5	ელინა ქრისტესიაშვილი		მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	I
რ6	მურმან ბაქრაძე		"მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის" ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
7	გრიგოლ ხოფერია		პროფესორი	I
8	ლეილა ქრისტესიაშვილი		ასოცირებული პროფესორი	I
9	თინათინ დათიაშვილი		სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I
10	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	II
11	ლილი ხეჩუაშვილი		პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	II
12				II

	ეკატერინე ფირცხალავა		პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	
13	მანანა მელიქიშვილი		პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	II
14	ყარამან ქუთათელაძე	სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	რექტორი	III-IV
15	ირაკლი პირმისაშვილი		არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი	III-IV
	ნოდარ ამაშუკელი		პროფესორი	III-IV
16	ნანა ქუთათელაძე		არქიტექტურის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III-IV
17	არჩილ ჯანგირაშვილი		დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V-VI
18	შალვა ძევისაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	V-VI
19	ვაჟა სოფრომაძე		პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	V-VI

**აკრედიტაციის ექსპერტები**

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-III-IV
3	ქეთევან ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

4	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნინო ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
6	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ურბანული არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სამოქალაქო არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ურბანული არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგვემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სამოქალაქო არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგვემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში.

**1. პირველი საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგვემიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №1365958
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	<b>0788 ინტერდისციპლინური – მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას</b>
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო 0160 ქ. თბილისი, მ. კოსტავას

		ქ. № 68
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ და მარინა მაისურაძემ.**

**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთადასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი თეა კასრაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ 2021 წლის დეკემბერში გაიარა აკრედიტაცია. მისი თქმით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა 7 წლით აკრედიტაცია 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. უნივერსიტეტს განესაზღვრა 12 რეკომენდაციის შესრულება. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, თუმცა აკრედიტაციის საბჭოს მიერ ცნობად არ იქნა მიღებული იმიტომ, რომ ერთი რეკომენდაცია უნივერსიტეტს არ ჰქონდა შესრულებული, ხოლო სამ რეკომენდაციაზე სამუშაო პროცესი დაწყებული იყო. თეა კასრაძის თქმით, ინსტიტუციას 60 დღიანი ვადა განესაზღვრა აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ერთი რეკომენდაცია სრულად არ იყო შესრულებული, ხოლო დანარჩენი სამი რეკომენდაცია საერთოდ მოცემული არ იყო აღნიშნულ დოკუმენტში. მიზეზი იყო ის, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში არ იყო რეკომენდაციები დაკონკრეტებული, არამედ მხოლოდ ეწერა შემდეგი: „განესაზღვროს ინსტიტუციას 60 დღიანი ვადა რეკომენდაციების შესასრულებლად.“ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა კონსულტაციები გაიარა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრთან. შესაბამისად, დადგინდა, რომ დაწესებულებამ ოთხივე რეკომენდაცია შეასრულა, რომლის დასადასტურებლად წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ 60 დღიან ვადაში დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

## სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო:

14:21

დასრულების დრო: 14:27

### საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომას 14:27 საათზე შემოუერთდა აკრედიტაციის საბჭოს წევრები: თინათინ ჭაბუკიანი და ნინო ჭალაგანიძე.

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს N971026 გადაწყვეტილება; 23/09/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-



8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313, ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზირი #1, ქ. თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.**

**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბერიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2021 წლის 23 სექტემბერს 4 წლის ვადით მენიჭა აკრედიტაცია 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაცემული იყო 10 რეკომენდაცია. უნივერსიტეტმა წარმოადგინა განსაზღვრულ ვადაში რეკომენდაციების შესახებ ანგარიში. შესაბამისად, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ქიმერიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 14:30**

**დასრულების დრო: 14:32**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**3. მესამე საკითხი:** სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ურბანული არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ურბანული არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №331, 08/09/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება - 0731
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	130
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ 22.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

**4. მეოთხე საკითხი:** სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სამოქალაქო არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №329, 08/09/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	129
14	განხორციელების ადგილი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №329, 08/09/2012
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა ნინო ლაღანიძემ და მარინა მაისურაძემ.**

**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე და მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ხაბეიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პირველი და მეორე სტანდარტი სრულად და მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტი. მისი თქმით, რეკომენდაციების გაცემის საჭიროება ორივე პროგრამაზე იყო. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ურბანული არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე გამოიკვეთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაკორექტირების აუცილებლობა, პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსების შესაბამისობაში მოყვანა, სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების, სწავლის შედეგების დაკორექტირება და დაზუსტება და ა. შ. მისი თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით აღნიშნული რეკომენდაციები უნივერსიტეტმა სრულად გაიზიარა. რეკომენდაციების ერთი ნაწილი დაწესებულებას შესრულებული აქვს, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ გასცნობოდა უნივერსიტეტის მიერ შესრულებულ რეკომენდაციებს. შესაბამისად, რეკომენდაციები და

შეფასებები დარჩა უცვლელად. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სამოქალაქო არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მსგავსი რეკომენდაციები გაიცა როგორც პირველ პროგრამასთან მიმართებით. მისი თქმით, პროგრამის დაშვების წინაპირობაში შემდეგი სახის ჩანაწერი იყო: „პროგრამაზე დაიშვებიან სამოქალაქო ან სამრეწველო მშენებლობის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირები“. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ბაკალავრის კვალიფიკაცია დღევანდელი კვალიფიკაციათა ჩარჩოში არ არსებობს. შესაბამისად, რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამაზე და სილაბუსებზე დაშვების წინაპირობა. გარდა ამისა, დასაკორექტირებელია პროგრამის მიზნები და შედეგები. მისი თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით აღნიშნული რეკომენდაციები უნივერსიტეტმა სრულად გაიზიარა. რეკომენდაციების ერთი ნაწილი დაწესებულებას შესრულებული აქვს, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ გაცემული რეკომენდაციები პროგრამას არ აკნინებს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის გასვლას დასახულ მიზანზე.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ პროგრამაზე ტექნიკური ხარვეზები გამოწვეული იყო პანდემიით და უნივერსიტეტში მიმდინარე რემონტით. მისი თქმით, არქიტექტურის ფაკულტეტს ინტერიერის დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამა გამოეყო. შესაბამისად, ინტერიერის დიზაინს როგორც დამოუკიდებელი პროგრამის შექმნას დრო სჭირდებოდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ექსპერტების მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი პროგრამა. უნივერსიტეტმა რეკომენდაციების ნაწილი შეასრულა, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არსებული რეკომენდაციები პროგრამის მიზნების მიღწევასა და კვალიფიკაციას საფრთხეს არ უქმნის, თუმცა რეკომენდაციების შინაარსი სულ სხვა განმარტებას იძლევა. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი.

ექსპერტი ნინო ხაბეიშვილის თქმით, ორ სასწავლო კურსს აქვს ერთი და იგივე მიზანი. სილაბუსების შინაარსი არ შეესაბამება სასწავლო კურსის მიზანს. გაურკვეველია დაწესებულებამ ამ საკითხს რატომ არ მიაქცია ყურადღება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა კარგად შედგენილია, თუმცა ბევრი ტექნიკური ხარვეზია გამოსასწორებელი.

ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ის შინაარსი, მიზნები და შედეგები, რომლებსაც პროგრამა ითვალისწინებს შეესაბამება განათლების დონეს. კვალიფიკაცია სწორად არის განსაზღვრული, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან. მისი თქმით, შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სასწავლო კურსებით. გაცემული რეკომენდაციებით დაიხვეწება ცალკეული გარემოებები.

საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, 1.5 სტანდარტში მოცემული რეკომენდაციები ისეა ჩამოყალიბებული, რომ პროგრამის ყველა სასწავლო კურსს ეხება, თუმცა აღწერაში აღნიშნულ კურსებთან მიმართებით გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „ზოგიერთ შემთხვევაში“, „რიგ შემთხვევაში“ და ა. შ.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ ექსპერტებს მიმართა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. ექსპერტმა ნინო ხაბეიშვილმა უპასუხა, რომ 1.5 სტანდარტში მოცემული რეკომენდაციები პროგრამის ყველა სასწავლო კურსს ეხება. აღწერით ნაწილში კი ფიზიკურად შეუძლებელი იყო ყველა რეკომენდაციის მოხსენება და განმარტება. შესაბამისად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნული ტერმინებით მოხსენებინათ ყველა რეკომენდაცია.

ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების ნაწილი არ არის სტანდარტთან შესაბამისობაში. მას აინტერესებდა, რატომ არ ითვალისწინებს მემორანდუმების და ხელშეკრულებების ნაწილი სტუდენტთა რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ვადებს. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შეცდომა ფიქსირდებოდა ხელშეკრულებებში და არა მემორანდუმებში. მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას, თუმცა „ერდოსთან“ გაფორმებულ მემორანდუმის ერთ ნაწილში მითითებულია სტუდენტთა რაოდენობა, ხოლო მეორე ნაწილში არა.

საბჭოს წევრმა თამარ სირაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ექვემდებარება თუ არა სამაგისტრო ნაშრომი ან პროექტი აკადემიური კეთილსინდისიერების ვალდებულებას. თუ ექვემდებარება როგორ ახორციელებს მას უნივერსიტეტი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტში არსებობს პლაგიატის ხელშეკრულება, რომელიც ექსპერტების მიერ არ იყო მოთხოვნილი. კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტი აკეთებს პროექტს როგორც "ურბანული არქიტექტურაში", ისე "სამოქალაქო არქიტექტურაში". ნაშრომის დაცვის დროს სტუდენტს მოჰყავს ანალოგები, ე. ი. რა იყო სტუდენტის შთაგონების წყარო, რომ ეს საკითხი აირჩია თემად. ამრიგად, უნივერსიტეტში არსებობს პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი.

#### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 14:54**

**დასრულების დრო: 15:04**

#### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ურბანული არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი რეკომენდაციების შესასრულებლად.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-5 და 22-ე პუნქტების საფუძველზე სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ურბანული არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

**საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

- პროგრამის მე-4, მე-5 და ა.შ. სწავლების შედეგები მოიცავს რამდენიმე შედეგს, ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა/გამოჯვნა;
- 1-11 სწავლის შედეგები ჩამოწერილია ისე, რომ არ არის გამოყოფილი მათი კუთვნილება რომელიმე კატეგორიასთან („ცოდნა/გაცნობიერება“, „უნარი“), მე-12 და მე-13 სწავლის კატეგორიასთან (თუმცა მე-13 შედეგი თავისი არსით მიეკუთვნება კატეგორიას „ცოდნა და გაცნობიერება“). ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირების ერთიანი სტილის არჩევა - ან ზოგადად ჩამოიწეროს გადანომრვის სახით ან დაჯგუფდეს კატეგორიების შესაბამისად;
- პროგრამის სწავლების მე-11 შედეგში არსებული ჩანაწერი „ფლობს ... პროფესიულ კომპიუტერულ პროგრამებს და ფართოდ იყენებს მათ კვლევის, პრაქტიკული მუშაობისა და კომუნიკაციის პროცესში“ არ დასტურდება პროგრამის შინაარსით (კომპიუტერული პროგრამების მომცველი ერთადერთი კურსი „ვიზუალური კომუნიკაციები“ არჩევითია), შესაბამისად რეკომენდებულია ამ შედეგის დაკორექტირება.
- რეკომენდებულია, „სწავლის შედეგების შეფასების“ რუკაში მიეთითოს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება);
- რეკომენდებულია პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის თითოეული შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები, რაც პროგრამის პირდაპირი შეფასების ერთ-ერთი მეთოდად იქნება გამოყენებული.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ქალაქგეგმარებითი პროექტირების თეორიული საფუძვლები“-ს დასახელების პროგრამის განათლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დაკორექტირდეს/დაზუსტდეს „დაშვების წინაპირობები“;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა სწავლის შედეგები გახდეს მკაფიო, რეალისტური და გაზომვადი, ასევე გამოირიცხოს სხვადასხვა სასწავლო კურსებში მისაღწევი შედეგების დუბლირება;
- რეკომენდებულია ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სილაბუსებში მითითებული მიზნის განსაზღვრა;
- რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში ყველა ადგილას მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები;
- რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას ქართულენოვანი ლიტერატურა ან უცხოენოვანი ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი ქართულენოვანი სასწავლო მასალა;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება.
- რეკომენდებულია მოხდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაკორექტირება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრული უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.
- რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში არსებული ჩანაწერები - უარყოფითი (FX) შეფასების შემთხვევაში „ხელახლა გამოცდაზე“ გასვლის უფლების ნაცვლად მიეთითოს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.

- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში ან „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში“ მკაფიოდ მიეთითოს, რომ ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით;
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში ან „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში“ მიეთითოს შეფასების სისტემა - დადებითი და უარყოფითი შეფასებები, მათი ქულობრივი მაჩვენებლები და წესი, რომლებიც მოქმედებს თითოეული უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში;
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის (პროექტის) შეფასებისთვის განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიეთითოს მისი გავლენა დასკვნითი შეფასების მიღებაზე.
- რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
- .

### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სამოქალაქო არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი რეკომენდაციების შესასრულებლად.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-5 და 22-ე პუნქტების საფუძველზე სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სამოქალაქო არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შესრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

### **საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

- პროგრამის სწავლის შედეგების კატეგორიაში „ცოდნა/გაცნობიერება“ რეკომენდებულია აისახოს მდგრადი განვითარების პრინციპების, ასევე სამართლებრივი რეგულაციებსა და პროცედურების გაცნობიერება; „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“-ს კატეგორიაში კი ის, რომ კურსდამთავრებული სათანადო რესურსების ავტონომიურად მოძიების, ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით დამოუკიდებლად წარმართავს კვლევით პროცესს;
- პროგრამის პირველი, მე-3, მე-6 და ა.შ. სწავლების შედეგები მოიცავს რამდენიმე შედეგს, ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა;
- ზოგიერთ შემთხვევაში სწავლის შედეგი თავისი არსით მიეკუთვნება სხვა კატეგორიას, ნაცვლად მითითებულისა (მაგ. მე-10 სწავლის შედეგის პირველი წინადადება „იცის გუნდური მუშაობა“ მიეკუთვნება კატეგორიას „ცოდნა და გაცნობიერება“ ნაცვლად „უნარი“-სა, მე-13 სწავლის შედეგი მიეკუთვნება კატეგორიას „ცოდნა და გაცნობიერება“ ნაცვლად „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ და ა.შ.). ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების შეცვლა ან დალაგება კატეგორიების შესაბამისად;
- პროგრამის სწავლების მე-11 შედეგში არსებული ჩანაწერი „ფლობს ... პროფესიულ კომპიუტერულ პროგრამებს და ფართოდ იყენებს მათ კვლევის, პრაქტიკული მუშაობისა



და კომუნიკაციის პროცესში“ არ დასტურდება პროგრამის შინაარსით (კომპიუტერული პროგრამების მომცველი ერთადერთი კურსი „ვიზუალური კომუნიკაციები“ არჩევითია), შესაბამისად რეკომენდებულია ამ შედეგის დაკორექტირება.

- რეკომენდებულია, „სწავლის შედეგების შეფასების“ რუკაში მიეთითოს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება);
- რეკომენდებულია მიეთითოს მხოლოდ შეფასების ის მეთოდები, რომლებიც რეალურად იქნება გამოყენებული შედეგის მიღწევის შეფასებისთვის (დადასტურებისათვის).
- რეკომენდებულია პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის თითოეული შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები, რაც პროგრამის პირდაპირი შეფასების ერთ-ერთი მეთოდად იქნება გამოყენებული.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დაკორექტირდეს/დაზუსტდეს: „დაშვების წინაპირობები“;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა სწავლის შედეგები გახდეს მკაფიო, რეალისტური და გაზომვადი, ასევე გამოირიცხოს სხვადასხვა სასწავლო კურსებში მისაღწევი შედეგების დუბლირება;
- რეკომენდებულია ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სილაბუსებში მითითებული მიზნის განსაზღვრა;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „თანამდროვე სამშენებლო მასალები და ნაკეთობები“ სწავლის შედეგები დაკორექტირდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის ჭრილში;
- რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში ყველა ადგილას მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები;
- რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას ქართულენოვანი ლიტერატურა ან უცხოენოვანი ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი ქართულენოვანი სასწავლო მასალა;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება.
- რეკომენდებულია მოხდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაკორექტირება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრული უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილთან (შეფასება (D) - ნაცვლად „საშუალო“ მიეთითოს „დამაკმაყოფილებელი“; შეფასება (E) - ნაცვლად „დამაკმაყოფილებელი“ მიეთითოს „საკმარისი“).
- რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში არსებული ჩანაწერები - უარყოფითი (FX) შეფასების შემთხვევაში „ხელახლა გამოცდაზე“ გასვლის უფლების ნაცვლად მიეთითოს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში ან „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში“ მკაფიოდ მიეთითოს, რომ ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით. ასევე, მნიშვნელოვანია ნებისმიერ დოკუმენტში გამოირიცხოს მითითება რაიმე ფორმით შუალედური შეფასების შესახებ;

- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში ან „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში“ მიეთითოს შეფასების სისტემა - დადებითი და უარყოფითი შეფასებები, მათი ქულობრივი მაჩვენებლები და წესი, რომლებიც მოქმედებს თითოეული უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში;
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის (პროექტის) შეფასებისთვის განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიეთითოს მისი გავლენა დასკვნითი შეფასების მიღებაზე.

**5. მეხუთე საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გლობალური მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1162394 გადაწყვეტილება 26.09.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, ქ. თბილისი, კოსტავას 77, IV კორპუსი
15		-

მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
---	--

**6. მეექვსე საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	უსაფრთხოების სწავლებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1162397 გადაწყვეტილება 26.09.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, ქ. თბილისი, კოსტავას 77, IV კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეხუთე და მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები  
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტი გვანცა აბდალაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა, ხოლო "გლობალური მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციებიდან დაწესებულებამ ერთი რეკომენდაცია არ შეასრულა. მან ყურადღება გაამახვილა, რომ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციითა ნაწილის შესრულება მოცემულია შემდეგი ტერმინით „შესრულებულია“, ხოლო ნაწილი მოხსენიებულია „ჩაითვალოს შესრულებულად“. მისი თქმით, „ჩაითვალოს შესრულებულად“ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტს რეკომენდაციის ძირითადი ასპექტი შესრულებული აქვს, მაგრამ არა ყველა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები უნდა „ჩაითვალოს შესრულებულად“. მან განაცხადა, რომ ერთი რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ არ შეასრულა ეხებოდა პროგრამის სტრუქტურის ცვლილებას, რომლის მიხედვით დამატებული უნდა ყოფილიყო ერთი სასწავლო კურსი, რომელსაც შინაარსობრივად ექნებოდა თეორიული ხასიათი.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, შალვა ძეგისაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია თავისი შინაარსით ითვალისწინებდა როგორც თეორიული კომპონენტის გაძლიერებას, ისე კონკრეტული მაგალითების წყალობით შესავალ საგნად ჩამოყალიბებას. მისი თქმით, პროგრამაში არის ერთი ძირითადი საგანი, რომლის სახელწოდებაც „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“. საერთაშორისო პოლიტიკა განიმარტება არა ვიწრო, არამედ ფართო გაგებით. საერთაშორისო პოლიტიკა ფართო გაგებით გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუციური ასპექტების განხილვას. ამ თვალსაზრისით საგანი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ სრულად ფარავს საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის თეორიულ ასპექტს. მისი თქმით, თუ ექსპერტები გულისხმობდნენ თეორიული ნაწილის კონკრეტული მხარის კერძოდ, ინსტიტუციური ასპექტის განხილვას, ეს საკითხი დაფარულია „საერთაშორისო ორგანიზაციების“ საგნით. შესაბამისად, ექსპერტების მიერ რეკომენდებული საგნის მიღებით სახეზე გვექნებოდა ტექნიკური გამეორება იმ საკითხებისა და თემებისა, რომლებსაც ეს ორი კურსი მოიცავს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტს დაწესებულებამ რომ არ დაამატოს „საერთაშორისო პოლიტიკა“ ძირითად სასწავლო კურსთა შორის, გადაფარავს თუ

არა იქ მოცემული საგნები იმ თეორიულ საგნებს, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული. მისი თქმით, კვლევის დიზაინზე და მეთოდებზე დაწესებულება მუშაობს. მას აინტერესებდა, გამოითხოვს თუ არა ექსპერტმა დაწესებულებისაგან მტკიცებულების სახით რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა კვლევის დიზაინზე და მეთოდებზე დაწესებულების მუშაობას. ექსპერტმა გვანცა აბდალაძემ უპასუხა, რომ ექსპერტს დაწესებულებისაგან მტკიცებულების სახით ისეთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული პროცესის დაწყებას კვლევის დიზაინზე და მეთოდებზე, არ გამოუთხოვია. ექსპერტი ვერ გამოითხოვდნენ იმას, რაც დაწესებულებას ჯერ არ აქვს შესრულებული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამაზე ცალკე საგნის დამატების საჭიროება დგას. მისი თქმით, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ არის თეორიების ძალიან თეორიული ნაწილი.

შალვა ძეგისაშვილმა აღნიშნა, რომ „გლობალური მმართველობა“ თავისი შინაარსით გულისხმობს ინსტიტუციურ მმართველობას. პროგრამაში ინსტიტუციური ასპექტები სრულად არის დაფარული. საერთაშორისო პოლიტიკის თეორიული ასპექტებს ფარავს საგანი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, ხოლო ინსტიტუციური ასპექტების საკითხებს „საერთაშორისო ორგანიზაციები“.

გურანდა ჭელიძეს აინტერესებდა, გადის თუ არა პროგრამა დასახულ მიზანზე და შედეგზე თუკი სასწავლო კურსებში დაემატება თემები და მოხდება სილაბუსების მუდმივი მოდიფიკაცია. გვანცა აბდალაძემ განაცხადა, რომ თუკი სასწავლო კურსებში დაემატება თემები და მოხდება სილაბუსების მუდმივი მოდიფიკაცია პროგრამა გავა დასახულ მიზანზე და შედეგზე.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენებაა**

**დაწყების დრო: 15:23**

**დასრულების დრო: 15:32**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე - 2 პუნქტის 2<sup>11</sup> ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16


წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე - 2 პუნქტის 2<sup>11</sup> ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 27 ოქტომბრის 15:35 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატვიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი

